საჯარო სამართლის იურიდიული პირი –

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/122

ქ. ბათუმი

17 სექტემბერი, 2020 წელი

ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 2020-2021 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე და 47 [2] მუხლების, ბსუ–ს წესდების მე-13 მუხლის, ,,პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის № 111/ნ ბრძანების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 15 სექტემბრის №75 დადგენილების, „მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის მინიჭების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის №112/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 10 სექტემბრის N97/ნ ბრძანების, ,,მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სპეციალური ანკეტა-კითხვარის წარმოდგენისა და წარმოდგენილი ანკეტა-კითხვარების სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ დადასტურების ვადების განსაზღვრის შესახებ“ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2020 წლის 11 სექტემბრის N1.1/87 ბრძანების, ,,მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით, ანკეტა-კითხვარის წარმოდგენის შესახებ“ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის 2020 წლის 11 სექტემბრის ელექტრონული წერილის, ბსუ-ს მიერ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში გაგზავნილი კორესპონდენციის (2020 წლის 14 სექტემბრის MES 219 0842110), ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის, ასოც. პროფ. ლელა თურმანიძის 2020 წლის 17 სექტემბრის N851977 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2020 - 2021 სასწავლო წლისათვის გამოცხადდეს მიღება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე (მიმართულებები: ქართული ენა და ლიტერატურა; მათემატიკა; ინგლისური ენა; გერმანული ენა; რუსული ენა; ფრანგული ენა; ფიზიკა; ბიოლოგია; ქიმია; გეოგრაფია; ისტორია; სამოქალაქო

განათლება; სპორტი; სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება. მისაღები 65 ადგილზე გაიცემა სახელმწიფო სასწავლო გრანტი).

2. აპლიკანტთა რეგისტრაცია - განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის pdf ფორმატში წარმოდგენა - განხორციელდეს ელექტრონული ფორმით, დისტანციური წესით, **2020 წლის 18 სექტემბრიდან 24 სექტემბრის** ჩათვლით, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე - info@bsu.edu.ge.

3. **აპლიკანტმა დისტანციური წესით რეგისტრაციისათვის უნდა წარმოადგინოს:**

ა) განცხადება და ანკეტა (შევსებული **დანართი 1-ის** და **დანართი 2**-ის შესაბამისად);

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) მიმართულების შესაბამისი საგნის გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი (გაცემული შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ);

დ) ბაკალავრის/მაგისტრის და/ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის (თანდართული დანართით) ასლი (2020 წლის კურსდამთავრებულთათვის - ცნობა შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ);

ე) ფოტოსურათი, ზომით 3X4–ზე;

ვ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირებისთვის).

4. ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე (შემდეგში „პროგრამა“) მისაღები წერითი გამოცდა ჩატარდეს ელექტრონული ფორმით, დისტანციური წესით (ფაკულტეტმა უზრუნველყოს გამოცდის შინაარსის, ჩატარების ფორმისა და გამოცდის ჩატარებასთან დაკავშირებულ პროცედურებთან დაკავშირებით, ბსუ-ს ვებგვერდის მეშვეობით აპლიკანტთა ინფორმირება).

5. პროგრამაზე მისაღებ წერით გამოცდასთან დაკავშირებით განისაზღვროს **შემდეგი ვადები:**

ა) გამოცდა ჩატარდეს - 2020 წლის 26 სექტემბერს (გამოცდის დაწყების დრო - 10^{00} სთ, დასრულების ვადა - 13^{00} სთ);
ბ) გამოცდის შედეგები გამოცხადდეს - 2020 წლის 28 სექტემბერს (აპლიკანტების პირადი ნომრების მითითების გარეშე);
გ) საპრეტენზიო განცხადებები (არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენილი იქნეს - 2020 წლის 29 სექტემბერს ელექტრონულად, დისტანციური წესით ელექტრონულ მისამართზე - info@bsu.edu.ge;
დ) საპრეტენზიო განცხადებების განხილვა მოხდეს 2020 წლის 30 სექტემბერს;
ე) გამოცდის საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს - 2020 წლის 1 ოქტომბერს, ბსუ-ს ვებგვერდზე (აპლიკანტების პირადი ნომრების მითითების გარეშე).

6. შეიქმნას აპლიკანტთა განცხადების/ანკეტის და სხვა დოკუმენტაციის მიმღები კომისია, ასევე საგამოცდო და საპრეტენზიო კომისიები **№3 დანართის** შესაბამისად. კომისიებს ეთხოვოს „პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის № 111/ნ ბრძანების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური

საბჭოს 2016 წლის 15 სექტემბრის № 75 დადგენილებისა და ამ ბრძანების შესაბამისად თავიანთი უფლებამოსილების განხორციელება.

7. მისაღები გამოცდის საბოლოო შედეგების დაინტერესებულ მხარეთათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის შემდეგ, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის/სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მიერ შეიქმნას რანჟირების დოკუმენტი, შესაბამის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და აპლიკანტთა მიერ ბსუ-ს ორგანიზებულ გამოცდაში მიღებული ქულის შესაბამისად.

8. **პროგრამაზე ჩარიცხვის აქტის პროექტი მომზადდეს** რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირების მიერ ამ ბრძანების მე-3 პუნქტით განსაზღვრული **სარეგისტრაციო დოკუმენტაციის** (კანონმდებლობით დადგენილი წესით დადასტურებული ასლების) **2020 წლის 2-3 ოქტომბერს** მატერიალური სახით წარმოდგენისა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ (მისამართი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32, ბსუ-ს მე-2 კორპუსი, ოთახი N213, ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსდეს აპლიკანტთა მიღების განრიგი და დოკუმენტაციის მიმღები პასუხისმგებელი პირის შესახებ ინფორმაცია).

9. ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ **ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცეს 2020 წლის 05 ოქტომბერს,** შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მიერ წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

10. წინამდებარე ბრძანების აღსრულების მიზნით ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა/ფაკულტეტის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს:

ა) პროგრამაზე მიღების შესახებ განცხადების ტექსტის მომზადება და გამოცდის ჩატარების ფორმატისა და სხვა დამატებითი ინფორმაციის ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსების ორგანიზება;

ბ) პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანების არაუგვიანეს **2020 წლის 5 ოქტომბერს** საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში გაგზავნის კოორდინაცია;

გ) **2020 წლის 7 ოქტომბრის** ჩათვლით პროგრამაზე ჩარიცხული პირების შესახებ ინფორმაციის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ელექტრონულად წარდგენა.

11. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ბრძანება განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში „კონკურსები", რექტორის ბრძანებებში და ასევე ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ველში).

12. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე), ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტს, პროგრამის ხელმძღვანელს (ლ. თავდგირიძეს), კომისიის წევრებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მ/შ, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

13. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

14. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №01-02/122 ბრძანების

დანართი 1.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

რექტორს, _____

_____

(აპლიკანტის სახელი, გვარი და პირადი ნომერი)

_____

(აპლიკანტის ელექტრონული ფოსტის მიმართი)

(აპლიკანტის საცხოვრებელი მისამართი და საკონტაქტო ტელეფონი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სურვილი მაქვს სწავლა გავაგრძელო საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მოდულზე

_____

(პროგრამის საგნის/მოდულის სახელწოდება საფეხურის მითითებით)

_____ „_____“ „_____“ 2020 წელი

განმცხადებლის ხელმოწერა

ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №_____ბრძანების
01-02/122

დანართი 2.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის

აპლიკანტის ანკეტა

სახელი ----------

გვარი ----------

დაბადების თარიღი ___/____/_____

რიცხვი თვე წელი

პირადი ნომერი_____

ფაქტობრივი მისამართი ----------

რეგისტრაციის მისამართი ----------

სქესი: □ მამრობითი □ მდედრობითი

მობილური/ტელეფონი ----------

ელ-ფოსტა: ----------

ფაკულტეტი ----------

სასურველი საგანმანათლებლო პროგრამა ----------

პროგრამის საგნის/მოდულის სახელწოდება საფეხურის მითითებით ----------

---

საგნის გამოცდა (ჩაბარებული გამოცდების ეროვნულ ცენტრში) ----------

მიღებული განათლება :

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	**ფაკულტეტი, საგანმანათლებლო პროგრამა**	**კვალიფიკაცია**	**სწავლის პერიოდი**

რომელ ენებს ფლობთ?

_____

_____

ამჟამად ხართ თუ არა რომელიმე უმაღლესი/ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი/მასწავლებელი? (დადებითი პასუხის შემთხვევაში, მიუთითეთ შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულება და სტატუსი)

_____

_____

ვადასტურებ მითითებული ინფორმაციისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორეს. ჩემთვის ცნობილია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებისა და სწავლის პირობები.

_____

(აპლიკანტის ხელმოწერა)

_____

(რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა) *თარიღი*

ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №_____ბრძანების
01-02/122

დანართი №3

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა დოკუმენტაციის მიმღები და დისტანციური გამოცდის ორგანიზების კომისია

1. ასოცირებული პროფესორი ლელა თურმანიძე - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი, კომისიის თავმჯდომარე;
2. მაია მაღულარია - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის ოფისის სპეციალისტი;
3. ზვიად ბერაძე - საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი.

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები

საგამოცდო კომისია

1. პროფესორი გული შერვაშიძე - თავმჯდომარე;
2. ასოცირებული პროფესორი - ნატო შეროზია;
3. პროფესორი ლელა თავდგირიძე;
4. ასოცირებული პროფესორი ნანა მაკარაძე
5. ასოცირებული პროფესორი ქეთევან შოთაძე;
6. ასოცირებული პროფესორი - ნათელა ფარტენაძე;
7. ასოცირებული პროფესორი მარინე გურგენიძე;
8. ასოცირებული პროფესორი ნანი მამულაძე;
9. ასისტენტ -პროფესორი დიანა ახვლედიანი - მდივანი.

საპრეტენზიო კომისია

1. ასოცირებული პროფესორი ლელა თურმანიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. ასოცირებული პროფესორი მადონა მიქელაძე;
3. ასოცირებული პროფესორი ნელი ახვლედიანი - მდივანი.